საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-867

12/09/2019

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 89 (29.08.2019წ.);
2. შპს ,,მედიკალ ტექნოლოგმა'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 89 (29.08.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,მედიკალ ტექნოლოგს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,მედიკალ ტექნოლოგის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი